



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების N029/11¹ მიმოხილვა

1. ფაქტები

2007 წლის 17 მარტს საჩივრის ავტორსა (შემდგომში კლიენტი) და ადვოკატს შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატისთვის კლიენტის ახლობლის მიმართვის საფუძველზე. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა მას არ გაუწია საადვოკატო მომსახურება, არ აწარმოა საქმე პროკურატურაში საპროცესო შეთანხმების თაობაზე და არც მოლაპარაკებას ცდილობდა ბრალდების მხარესთან. მას მხოლოდ თანხა აინტერესებდა. ამასთან, 2007 წლის აპრილში ადვოკატმა შეწყვიტა დაცვის განხორციელება, კლიენტის ინფორმირების გარეშე. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ურთიერთობა შეწყდა ბრალდებულის მხრიდან და რომ კლიენტმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, როგორც ადვოკატის მომსახურების თანხასთან დაკავშირებით, ასევე ბრალდების მხარესთან მიღწეული შეთანხმება გირაოს გადახდის თაობაზე. ამის შემდეგ, ადვოკატმა ჩათვალა, რომ ვეღარ დაიცავდა მის ინტერესებს. დამატებით ადვოკატმა ეთიკის კომისიას მიუთითა, რომ მისი კლიენტი არის უარყოფითი პიროვნება, რომელსაც წინასწარ განზრახ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული მრავალგზის, რასაც ახორციელებდა სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით. ადვოკატმა კლიენტი მოიხსენია „კლასიკურ თაღლითად“.

2. პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ შეწყვიტა დისციპლინური წარმოება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო („ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მუხლი 22 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2; 33), თუმცა ადვოკატის ქცევა შეაფასა.

3. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ვერ დაიწყო ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა, რადგან გასული იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების, ადვოკატის მიერ ქმედების განხორციელების დროს მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი. ეთიკის კომისიამ განმარტა, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და არა ადვოკატის მხრიდან განხორციელებული პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის დადგენაზე. შესაბამისად ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის ქცევა და დაადგინა ადვოკატის მხრიდან კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის წესის დარღვევა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2) და კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევა („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ მუხლი 4.1, 4.2).

ეთიკის კომისიამ აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით განმარტა, ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6.2). პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს, განსაკუთრებით ისეთი

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c47fbd8450.pdf/5c4c47fbd8450.pdf>



ინფორმაცია, როგორცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ ახსნა-განმარტებაში კლიენტის მიმართ ჩამოყალიბებული შეფასებები, რაც ეფუძნება პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციას, შეიძლება ჩაითვალოს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევად. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის მიმართ ასეთი შეფასებები არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს, ვინაიდან იგი მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

4. დასკვნა

განსახილველ საქმეში ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ვალდებული იყო დაცვის შეწყვეტის შესახებ უშუალოდ კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია; („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2) ასევე დაადგინა კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა. („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ მუხლი 4.1, 4.2). ეთიკის კომისიამ ვერ დაიწყო ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.